N19-03/455 ლიცენზიის საფუძველზე შპს „ბეთლაივი"-ს წამახალისებელი გათამაშების II ეტაპის მოწყობის რეგლამენტი

1. ძირითადი ინფორმაცია

1.1. წამახალისებელ გათამაშებას აწყობს შპს „ბეთლაივი", რომლის საიდენტიფიკაციო ნომერია: 404983238, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის გამზირი #41

2. მომსახურების ჩამონათვალი/მომსახურების აღწერა.

2.1. შპს „ბეთლაივი" აზარტული და მომგებიანი თამაშობების ვებ-გვერდზე -- www.betlive.com აწყობს სისტემურ ელექტრონული ფორმით თამაშობებს შესაბამისი ნებართვების საფუძველზე (სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის #19-06/225 და ტოტალიზატორის ნებართვის #19-05/360), სადაც ვებ-გვერდის **მომხმარებლებს (პინ კოდის მფლობელი მოთამაშე)** შესაძლებლობა აქვთ განათავსონ ფსონები სხვადასხვა აზარტულ და მომგებიან თამაშობებზე.

3. წამახალისებელი გათამაშების მიზეზი:

3.1. წამახალისებელი გათამაშების მოწყობის აუცილებლობა განაპირობა სათამაშო ბიზნესის სფეროში არსებულმა დიდმა კონკურენციამ, გათამაშება საკმაოდ ეფექტურად იმოქმედებს ვებ-გვერდის პოპულარიზაციაზე, სტიმულს მისცემს ვებ-გვერდის მოთამაშეებს და განაპირობებს ახალი მომხმარებლების მოზიდვას.

4. გათამაშების მიზანი:

4.1. გათამაშების ორგანიზება მიზნად ისახავს მომხმარებლისათვის დამატებითი ბენეფიტების შეთავაზებას წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის სახით, რაც გამოიწვევს მომხმარებელთა რაოდენობის ზრდას და შესაბამისად კომპანიის შემოსავლების მატებას.

5. წამახალისებელი გათამაშების ბილეთების დაგროვების ვადები და გათამაშების თარიღები

5.1. მოთამაშის მიერ წამახალისებელი გათამაშების ბილეთ(ებ)ის დაგროვება განხორციელდება გათამაშების სრულ პერიოდზე, ყოველდღიურად -- 24 საათიანი დროის ინტერვალში.

5.2. წამახალისებელი გათამაშების ბილეთების დაგროვება დაიწყება 2022 წლის 18 ნოემბერს 00:01 საათზე და დასრულდება 29 დეკემბერს 24:00 საათზე, ხოლო უშუალოდ დაგროვებული ბილეთების გათამაშება დაიწყება 2022 წლის 26 ნოემბერს 20:00 საათზე და ბოლო გათამაშება გაიმართება 2022 წლის 31 დეკემბერს 17:00 საათზე.

წინამდებარე წამახალისებელი გათამაშების ფარგლებში გაიმართება ჯამში 6 (ექვსი) ლაივ გათამაშება საიდანაც ბილეთების დაგროვების განსხვავებული მექანიზმიდან გამომდინარე პირველი 5 (ხუთი) გათამაშება მოხსენიებული იქნება როგორც - პირველი ტური, ხოლო მე-6 გათამაშება (ე.წ. სუპერ ლაივ გათამაშება) მოხსენიებული იქნება როგორც - მეორე ტური. ყოველგვარი ორაზროვნების გამოსარიცხად ლაივ გათამაშებების პირველ და მეორე ტურად მოხსენიებას აქვს პრაქტიკული დანიშნულება წინამდებარე რეგლამენტის წესების ჩამოყალიბებისა და აღქმისთვის.

5.3. ყოველკვირეული გათამაშება შედგება ბილეთების დაგროვების დაწყების დღიდან კერძოდ შემდეგ თარიღებში:

პირველი ტურის ბილეთების დაგროვება და ლაივ გათამაშების თარიღები:

5.3.1. 2022 წლის 18 ნოემბრიდან - 24 ნოემბრის ჩათვლით დაგროვებული ბილეთები გათამაშდება 26 ნოემბერს 20:00 საათზე

5.3.2. 2022 წლის 25 ნოემბრიდან - 01 დეკემბრის ჩათვლით დაგროვებული ბილეთები გათამაშდება 03 დეკემბერს 20:00 საათზე

5.3.3. 2022 წლის 02 დეკემბრიდან - 08 დეკემბრის ჩათვლით დაგროვებული ბილეთები გათამაშდება 10 დეკემბერს 20:00 საათზე

5.3.4. 2022 წლის 09 დეკემბრიდან - 15 დეკემბრის ჩათვლით დაგროვებული ბილეთები გათამაშდება 17 დეკემბერს 20:00 საათზე

5.3.5. 2022 წლის 16 დეკემბრიდან - 22 დეკემბრის ჩათვლით დაგროვებული ბილეთები გათამაშდება 24 დეკემბერს 20:00 საათზე

მეორე ტურის (ე.წ. სუპერ ლაივ გათამაშების) ბილეთების დაგროვება და ლაივ გათამაშების თარიღები:

5.3.6. 18 ნოემბრიდან - 29 დეკემბრის ჩათვლით დაგროვებული ბილეთები გათამაშდება 31 დეკემბერს 17:00 საათზე სუპერ ლაივ გათამაშებაში.

6. წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობისა და ბილეთების მიღების წესები:

6.1. წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს მხოლოდ იმ მომხმარებლებს, რომლებიც www.betlive.com-ზე რეგისტრირებული არიან და გავლილი აქვთ იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის პროცედურები საქართველოს კანონმდებლობისა და შპს „ბეთლაივის“ წესების შესაბამისად (მათ შორის SMS ვერიფიკაცია) (გათამაშებაში მონაწილეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ მოთამაშის რეგისტრირებულ მონაცემებში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი ჩართული უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული რომელიმე მობილური ოპერატორის ქსელში).

6.2. www.betlive.com-ზე წამახალისებელი გათამაშების ბილეთები გაიცემა უსასყიდლოდ, ბილეთების მიღების წინაპირობები მოცემულია წინამდებარე რეგლამენტით.

6.3. პირველი ტურის ფარგლებში (კერძოდ, 2022 წლის 26 ნოემბრის, 03 დეკემბრის, 10 დეკემბრის, 17 დეკემბრის და 24 დეკემბრის გათამაშებებში მონაწილეობისთვის) ბილეთების დასაგროვებლად აუცილებელი წინაპირობაა ნებისმიერი პროვაიდერის (თამაშის მომწოდებელი) სლოტებში, ლაივ კაზინოში, სპორტში, სამაგიდო თამაშებში, მინი თამაშებში და პოკერში შესაბამისი ოდენობის ფსონების განთავსება წინამდებარე რეგლამენტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

6.3.1. სლოტების ნებისმიერ თამაშზე (გარდა შემდეგი თამაშებისა: Jack or better video poker, 4 of a kind bonus poker და Joker poker) ჯამურად 25 (ოცდახუთი) ლარის ფსონის განთავსებაზე მოთამაშე მიიღებს გათამაშების 1 (ერთი) ბილეთს;

6.3.2. სამაგიდო თამაშების (P2P) ნებისმიერ სახეობაზე ყოველ ჯამურად მოგებულ 5(ხუთი) ლარიან პარტიაზე მომხმარებელი მიიღებს წამახალისებელი გათამაშების 1 (ერთი) ბილეთს;

6.3.3. პოკერის ნებისმიერ თამაშში მოთამაშის მიერ საკომისიოს/რეიკის სახით ჯამურად გადახდილ ყოველ 1 ლარზე, მოთამაშე მიიღებს წამახალისებელი გათამაშების 1 ბილეთს;

6.3.4. მინი თამაშების ნებისმიერ სახეობაზე მოთამაშე წამახალისებელი გათამაშების ერთ ბილეთს მიიღებს ჯამურად განთავსებულ ყოველ 10 (ათი) ლარის ფსონზე. მომგებიანი ფსონის შემთხვევაში მოქმედებს დამატებითი პირობები, რომლის მიხედვითაც მომგებიანი ფსონი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობას: მოთამაშემ თანხა უნდა გაიტანოს (განახორციელოს ქეშაუთი) 1.3 ერთეულზე ზევით; მაგალითად: თუ მოთამაშე 20 ლარის ფსონის ქეშაუთს გააკეთებს 1.29 ერთეულზე ის გათამაშების ვერცერთ ბილეთს ვერ მიიღებს, ხოლო თუ მოთამაშე 20 ლარის ფსონის ქეშაუთს გააკეთებს 1.3 ერთეულზე მას გადაეცემა გათამაშების 2 (ორი) ბილეთი. ხოლო მინი თამაშის "Bounce" შემთხვევაში არანაირი დამატებითი პირობა არ მოქმედებს.

6.3.5. ლაივ-სამორინეს ნებისმიერ თამაშზე (გარდა ნებისმიერი პროვაიდერის თამაშისა -- „ბაკარა", ასევე გარდა თამაშებისა: Lightning Dice და Craps) მომხმარებელი ბილეთს მიიღებს შემდეგი წესით - მოგებულ და განთავსებულ ფსონებს შორის დადებითი სხვაობა გაყოფილი 10-ზე; მაგალითად, თუ მოთამაშემ განათავსა 50 ლარის ფსონი და მოიგო 100 ლარი, შესაბამისად იგი მიიღებს 5 ბილეთს (100-50) / 10 = 5;

6.4. წამახალისებელი გათამაშების (როგორც პირველი ტურის, ასევე მეორე ტურის) ბილეთების მიღება ასევე შესაძლებელი იქნება www.betlive.com -ზე რეგისტრაციის მეშვეობით, ამ პუნქტით განსაზღვრული პირობების დაცვით, კერძოდ: თუ რეგისტრაციასთან ერთად მომხმარებელი განახორციელებს მინიმუმ 20 ლარის ოდენობით დეპოზიტს (ჯამური დეპოზიტი არ მიიღება მხედველობაში), ამ შემთხვევაში მომხმარებელს რეგისტრაციისათვის გადაეცემა 10 ბილეთი და დამატებით 40 ბილეთი - დეპოზიტის განხორციელებისთვის; ამასთან რეგისტრაციის 10 ბილეთის გასააქტიურებლად საჭიროა მინიმუმ 20 ლარის ოდენობის დეპოზიტის განთავსება, რომლის განთავსების შემთხვევაშიც მომხმარებელს გადაეცემა ხსენებული რეგისტრაციის 10 ბილეთიც. რეგისტრაციისა და დეპოზიტის განთავსების შედეგად მომხმარებლის მიერ 50 ბილეთის დაგროვების შემთხვევაში მომხმარებელს გადაეცემა დამატებით 10 (ათი) ბილეთი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სუპერ გათამაშებაში (მეორე ტური), რომელიც გაიმართება 2022 წლის 31 დეკემბერს 17:00 საათზე.

წამახალისებელი გათამაშების ბილეთების დაგროვების პერიოდში (პარასკევიდან ხუთშაბათის ჩათვლით) მომხმარებლები, რომლებიც დარეგისტრირდებიან www.betlive.com-ზე მიიღებენ მიმდინარე კვირის გათამაშების 10 ბილეთს, თუ ამავე კვირაში (პარასკევიდან ხუთშაბათის ჩათვლით) განახორციელებენ დეპოზიტს მინიმუმ 20 ლარს, რა შემთხვევაშიც მიიღებენ დეპოზიტის განხორციელების შედეგად დამატებით 40 ბილეთს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს პირველი ტურის ლაივ გათამაშებებში და დამატებით 10 (ათი) ბილეთს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სუპერ ლაივ გათამაშებაში (მეორე ტური),

რომელიც გაიმართება 2022 წლის 31 დეკემბერს 17:00 საათზე. ამასთან 20 ლარზე მეტი დეპოზიტის ჯამურად განთავსების შემთხვევაშიც მომხმარებელი მიიღებს 40 ბილეთს. მაგალითად, თუ მოთამაშე დარეგისტრირდება 2022 წლის 29 ნოემბერს და დეპოზიტს 20 ლარის (ან მეტის) ოდენობით განახორციელებს 2022 წლის 01 დეკემბერის ჩათვლით იგი მიიღებს 2022 წლის 03 დეკემბრის გათამაშებაში 50 ბილეთს, საიდანაც 10 ბილეთი იქნება რეგისტრაციის დროს მიღებული, ხოლო 40 ბილეთი დეპოზიტის განხორციელებით მოპოვებული, მომხმარებელი ასევე დამატებით მიიღებს 10 (ათი) ბილეთს რომელიც მონაწილეობას მიიღებს სუპერ გათამაშებაში (მეორე ტური), რომელიც გაიმართება 2022 წლის 31 დეკემბერს 17:00 საათზე. თუ მოთამაშე დარეგისტრირდა პარასკევიდან ხუთშაბათის ჩათვლით და არ განახორციელა დეპოზიტი ამ პერიოდში, მას გაუუქმდება ბილეთის მიღების შესაძლებლობა. მაგალითად თუ მომხმარებელი დარეგისტრირდა 2022 წლის 29 ნოემბერს და არ განახორციელა 20 ან მეტი ლარის ოდენობით დეპოზიტი 01 დეკემბრის ჩათვლით, ის გათამაშების ფარგლებში აღნიშნული სქემით ბილეთებს ვერ მიიღებს.

6.5. პირველი ტურის ფარგლებში გათამაშების ბილეთების დასაგროვებლად სპორტის ნებისმიერ სახეობაზე ყოველ 5 (ხუთი) ლარის ფსონის განთავსებაზე მომხმარებელი მიიღებს გათამაშების 1 (ერთი) ბილეთის განთავსებულ ფსონზე შედეგის დადგომის (მოგების ან წაგების) შემდეგ. მაგალითად, თუ მომხმარებელმა 5 ლარის ოდენობით ფსონი განათავსა 2022 წლის 29 ნოემბერს ხოლო მოგება (ან წაგება) ბილეთზე დაფიქსირდა 2022 წლის 02 დეკემბერს მომხმარებელს 02 დეკემბერს გადაეცემა 1 ბილეთი, რომლითაც მონაწილეობას მიიღებს 2022 წლის 10 დეკემბრის გათამაშებაში.

6.6. პირველი ტურის ფარგლებში ონლაინ ტოტალიზატორის თამაშებზე წამახალისებელი გათამაშების ბილეთის მისაღებად აუცილებელია, რომ სპორტის განყოფილებაში დადებული ბილეთები აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

6.6.1. მინიმალური ფსონი 5 ლარი;

6.6.2. გადაბმების მინიმალური რაოდენობა - 3;

6.6.3. მინიმალური კოეფიციენტი - 1.20 (მსგავსი 3 მაინც).;

6.6.4. გათამაშების ბილეთის მისაღებად ფსონის პირვანდელი და საბოლოო სახე უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ მოცემულ პირობებს.

6.6.5. ბილეთის ტიპი - მხოლოდ ექსპრესი. არ მონაწილეობს სისტემა და სინგლი.

6.6.6. არ მონაწილეობს ბილეთი, რომელზეც გამოყენებული იქნება თანხის გატანის „ქეშაუთ“ ფუნქცია.

6.6.7. ფსონები - მონაწილეობს მხოლოდ რეალური თანხით განთავსებული ფსონები.

6.6.8. ზემოხსენებულ კრიტერიუმებთან ერთად აუცილებელია, რომ ონლაინ ტოტალიზატორის ბილეთში დაფიქსირებულ მოვლენებს (სპორტული ღონისძიებები: მატჩი, შერკინება და ა.შ.) ადგილი ჰქონდეს წამახალისებელი გათამაშების მიმდინარეობის პერიოდში. მომხმარებელს ფსონის თანხის შესაბამისი წამახალისებელი გათამაშების ბილეთები გადაეცემა მხოლოდ ტოტალიზატორის ბილეთში დაფიქსირებულ მოვლენებზე შედეგების დადგომის (მოგების ან წაგების) შემდეგ.

6.7. **2022 წლის 31 დეკემბრის სუპერ ლაივ გათამაშების (მეორე ტური) ბილეთების დასაგროვებლად აუცილებელი წინაპირობაა** ნებისმიერი პროვაიდერის (თამაშის მომწოდებელი) სლოტებში, ლაივ კაზინოში, სპორტში, სამაგიდო თამაშებში, მინი თამაშებში

და პოკერში შესაბამისი ოდენობის ფსონების განთავსება წინამდებარე რეგლამენტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად:

6.7.1. სლოტების ნებისმიერ თამაშზე (გარდა შემდეგი თამაშებისა: Jack or better video poker, 4 of a kind bonus poker და Joker poker) ჯამურად 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ფსონის განთავსებაზე მოთამაშე მიიღებს სუპერ ლაივ გათამაშების 1 (ერთი) ბილეთს; **(მაგალითად:** თუ მომხმარებელმა 2022 წლის 29 ნოემბერს განათავსა ფსონი 150 ლარის ოდენობით, იგი მიიღებს 1 ბილეთს რომელიც მონაწილეობას მიიღებს 2022 წლის 31 დეკემბრის სუპერ ლაივ გათამაშებაში და ასევე მიიღებს 6 ბილეთს (რეგლამენტის 6.3.1. პუნქტის საფუძველზე), რომელიც მონაწილეობას მიიღებს 2022 წლის 03 დეკემებრის გათამაშებაში. იგივე პრინციპი ვრცელდება სხვა პროდუქტებზეც).

6.7.2. სამაგიდო თამაშების (P2P) ნებისმიერ სახეობაზე ყოველ ჯამურად მოგებულ 50 (ორმოცდაათი) ლარიან პარტიაზე მომხმარებელი მიიღებს სუპერ ლაივ გათამაშების 1 (ერთი) ბილეთს;

6.7.3. პოკერის ნებისმიერ თამაშში მოთამაშის მიერ საკომისიოს/რეიკის სახით ჯამურად გადახდილ ყოველ 10 (ათი) ლარზე, მოთამაშე მიიღებს სუპერ ლაივ გათამაშების 1 ბილეთს;

6.7.4. მინი თამაშების ნებისმიერ სახეობაზე მოთამაშე სუპერ ლაივ გათამაშების ერთ ბილეთს მიიღებს ჯამურად განთავსებულ ყოველ 100 (ასი) ლარის ფსონზე. მომგებიანი ფსონის შემთხვევაში მოქმედებს დამატებითი პირობები, რომლის მიხედვითაც მომგებიანი ფსონი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობას: მოთამაშემ თანხა უნდა გაიტანოს (განახორციელოს ქეშაუთი) 1.3 ერთეულზე ზევით; მაგალითად: თუ მოთამაშე 200 ლარის ფსონის ქეშაუთს გააკეთებს 1.29 ერთეულზე ის გათამაშების ვერცერთ ბილეთს ვერ მიიღებს, ხოლო თუ მოთამაშე 200 ლარის ფსონის ქეშაუთს გააკეთებს 1.3 ერთეულზე მას გადაეცემა სუპერ ლაივ გათამაშების 2 (ორი) ბილეთი. ხოლო მინი თამაშის "Bounce" შემთხვევაში არანაირი დამატებითი პირობა არ მოქმედებს.

6.7.5. ლაივ-სამორინეს ნებისმიერ თამაშზე (გარდა ნებისმიერი პროვაიდერის თამაშისა -- „ბაკარა", ასევე გარდა თამაშებისა: Lightning Dice და Craps) მომხმარებელი სუპერ ლაივ გათამაშების ბილეთს მიიღებს შემდეგი წესით - მოგებულ და განთავსებულ ფსონებს შორის დადებითი სხვაობა გაყოფილი 20-ზე; მაგალითად, თუ მოთამაშემ განათავსა 100 ლარის ფსონი და მოიგო 200 ლარი, შესაბამისად იგი მიიღებს 5 ბილეთს (200-100) / 20 = 5;

6.8. სუპერ ლაივ გათამაშებისთვის (მეორე ტური) სპორტის ნებისმიერ სახეობაზე ყოველ 50 (ორმოცდაათი) ლარის ფსონის განთავსებაზე მომხმარებელი მიიღებს გათამაშების 1 (ერთი) ბილეთის განთავსებულ ფსონზე შედეგის დადგომის (მოგების ან წაგების) შემდეგ. მაგალითად, თუ მომხმარებელმა 50 ლარის ოდენობით ფსონი განათავსა 2022 წლის 29 ნოემბერს ხოლო მოგება (ან წაგება) ბილეთზე დაფიქსირდა 2022 წლის 02 დეკემბერს მომხმარებელს 02 დეკემბერს გადაეცემა 10 ბილეთი, რომლითაც მონაწილეობას მიიღებს 2022 წლის 10 დეკემბრის გათამაშებაში და 1 ბილეთი რომლითაც მონაწილეობას მიიღებს 2022 წლის 31 დეკემბრის სუპერ ლაივ გათამაშებაში.

6.9. სუპერ ლაივ გათამაშებისთვის (მეორე ტური) ონლაინ ტოტალიზატორის თამაშებზე წამახალისებელი გათამაშების ბილეთის მისაღებად აუცილებელია, რომ სპორტის განყოფილებაში დადებული ბილეთები აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

6.9.1. მინიმალური ფსონი 50 ლარი;
6.9.2. გადაბმების მინიმალური რაოდენობა - 3;
6.9.3. მინიმალური კოეფიციენტი - 1.20 (მსგავსი 3 მაინც).;
6.9.4. გათამაშების ბილეთის მისაღებად ფსონის პირვანდელი და საბოლოო სახე უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ მოცემულ პირობებს.
6.9.5. ბილეთის ტიპი - მხოლოდ ექსპრესი. არ მონაწილეობს სისტემა და სინგლი.
6.9.6. არ მონაწილეობს ბილეთი, რომელზეც გამოყენებული იქნება თანხის გატანის „ქეშაუთ" ფუნქცია.
6.9.7. ფსონები - მონაწილეობს მხოლოდ რეალური თანხით განთავსებული ფსონები.
6.9.8. ზემოხსენებულ კრიტერიუმებთან ერთად აუცილებელია, რომ ონლაინ ტოტალიზატორის ბილეთში დაფიქსირებულ მოვლენებს (სპორტული ღონისძიებები: მატჩი, შერკინება და ა.შ.) ადგილი ჰქონდეს წამახალისებელი გათამაშების მიმდინარეობის პერიოდში. მომხმარებელს ფსონის თანხის შესაბამისი წამახალისებელი გათამაშების ბილეთები გადაეცემა მხოლოდ ტოტალიზატორის ბილეთში დაფიქსირებულ მოვლენებზე შედეგების დადგომის (მოგების ან წაგების) შემდეგ.

6.10. წამახალისებელი გათამაშების (ბილეთები დაგროვების პერიოდში) ბილეთების დაგროვება როგორც პირველი ტურის ასევე მეორე ტურის გათამაშებებში მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია დეპოზიტ პროგრესის მეშვეობით, კერძოდ, 2022 წლის 20 ნოემბრიდან - 22 დეკემბრის ჩათვლით მომხმარებელი დღეში ერთხელ შეძლებს დეპოზიტ პროგრესის შევსებას, რისთვისაც მომხმარებელმა დეპოზიტი უნდა გააკეთოს 20 (ოცი) ლარის ოდენობით. მომხმარებელს 20 ლარიანი დეპოზიტის გაკეთება შეუძლია როგორც ერთიანად, ასევე ნაწილ-ნაწილ, როგორც ერთ დღეში ასევე რამოდენიმე დღეში. იმ დღის განმავლობაში რომელ დღესაც შესრულდება 20 ლარიანი დეპოზიტ პროგრესი, მომხმარებელს მიეცემა შესაძლებლობა დღის ბოლომდე დაატრიალოს 9 (ცხრა) ნიშნულიანი ბორბალი საიდანაც:

- ყოველი 816 858 (რვაას თექვსმეტი ათას რვაას ორმოცდათვრამეტი) დატრიალებიდან ყოველი მე-9 მიიღებს x5 (ხუთ ცალ) 2022 წლის 31 დეკემბრის სუპერ ლაივ გათამაშების ბილეთს.
- ხოლო ყოველი 816 858 (რვაას თექვსმეტი ათას რვაას ორმოცდათვრამეტი) დატრიალებიდან გარდა შემდეგი რიგითობებისა მე-3-ს, 76-ს, 8168-ეს, 163371-ეს, 40843-ეს, 27220-ეს და 816858-ეს, ყველა სხვა მიიღებს 10 (ათი) პირველი ტურის გათამაშების ბილეთს, რომელიც მონაწილეობას მიიღებს იმ გათამაშებაში რომლის ფარგლებშიც დაგროვდა ბილეთი.

მაგალითად თუ მომხმარებელი 2022 წლის 01 დეკემბერს დაასრულებს 20 ლარიანი დეპოზიტ პროგრესის შევსებას, მას 24:00 საათამდე მიეცემა ბორბლის დატრიალების საშუალება, საიდანაც შესაძლოა მიიღოს 5 (ხუთი) სუპერ ლაივის გათამაშების (მეორე ტური) ბილეთი ან 10 (ათი) პირველი ტურის ბილეთი, რომელსაც გამოიყენებს 2022 წლის 03 დეკემბრის გათამაშებაში თუ მისი რიგითობა იყო გათამაშების ბილეთის მოგებახვედრილი (მაგალითად: მისი დატრიალება იყო ერთ-ერთ 816 858 დატრიალებაში, მე-4).

6.10.1. წამახალისებელი გათამაშების 2022 წლის 23 დეკემბრიდან - 29 დეკემბრის ჩათვლით (ბილეთების დაგროვების პერიოდში) ბილეთების დაგროვება სუპერ ლაივ გათამაშების (მეორე ტურის) გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია დეპოზიტ პროგრესის მეშვეობით, იმავე პრინციპით რაც მოცემულია 6.10 პუნქტში, იმ განსხვავებით რომ იქნება 8 (რვა) ნიშნულიანი ბორბალი და 8 ნიშნულიანი ბორბლის დატრიალების შემთხვევაში ამოვა მხოლოდ სუპერ ლაივ გათამაშების ბილეთი და აღარ ამოვა პირველი ტურის გათამაშების ბილეთი (რამდენადაც დასრულებული იქნება პირველი ტურის გათამაშებები), ხოლო სუპერ ლაივ გათამაშების ბილეთების ამოსვლის რიგითობა იქნება შემდეგი:

- ყოველი 136 143 (ას ოცდათექვსმეტი ათას ას ორმოცდასამი) დატრიალებიდან ყოველი მე-2 მიიღებს x5 (ხუთ ცალ) 2022 წლის 31 დეკემბრის სუპერ ლაივ გათამაშების ბილეთს.

7. წამახალისებელი გათამაშების ბილეთების განაწილება

7.1. ყოველკვირეული გათამაშების ბილეთები ნაწილდება 5 (ხუთი) ცალ დოლურაში; დოლურები იქნება დანომრილი 1-დან 5-ის ჩათვლით;

7.2. მოთამაშეებს ვებ-გვერდ www.betlive.com-ზე ავტორიზაციისას საშუალება აქვთ ნახონ მათ მიერ დაგროვილი ბილეთების რაოდენობა.

7.3. მოთამაშეების მიერ კვირის მანძილზე დაგროვილი ბილეთებიდან დოლურაში მოხვდება 5-ის ჯერადი რაოდენობის ბილეთი, მაგალითად თუ მოთამაშემ პარასკევიდან ხუთშაბათის ჩათვლით (ან სუპერ ლაივ გათამაშებისთვის ბილეთების დაგროვების პერიოდში 18.11.2022 – 29.12.2022-ის ჩათვლით) დააგროვა 4 ბილეთი ის ვერ შეძლებს გათამაშებაში მონაწილეობას, ხოლო თუ მოთამაშემ პარასკევიდან ხუთშაბათის ჩათვლით (ან სუპერ ლაივ გათამაშებისთვის ბილეთების დაგროვების პერიოდში 18.11.2022 – 29.12.2022-ის ჩათვლით) დააგროვა 27 ცალი ბილეთი, მის მიერ დაგროვილი ბილეთებიდან მხოლოდ 25 ცალი (27-დან მაქსიმალური 5-ის ჯერადი რიცხვი) ბილეთი პროპორციულად გადანაწილდება 5 ცალ დოლურაში. დარჩენილი 2 ბილეთი გაუქმდება და ვერ მოხვდება ვერცერთ დოლურაში, ვინაიდან ბილეთების დაგროვების პერიოდში გათამაშებაში მონაწილეობას იღებს მოთამაშის მხოლოდ 5-ის ჯერადი ბილეთების რაოდენობა;

8. წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობის წინაპირობა და ბილეთების გაბათილება

8.1. წამახალისებელ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის მოთამაშეები, რომლებიც www.betlive.com-ზე რეგისტრირებულნი არიან და გავლილი აქვთ იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციის პროცედურები (მათ შორის SMS ვერიფიკაცია) საქართველოს კანონმდებლობისა და შპს „ბეთლაივის“ წესების შესაბამისად.

8.2. მოთამაშის ყველა ბილეთი გაბათილდება და ვერ მიიღებს გათამაშებაში მონაწილეობას შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

ა) თუ წამახალისებელი გათამაშების მიმდინარეობისას მოთამაშე დაიბლოკება ვებ-გვერდის წესების დარღვევის გამო;

ბ) თუ მოთამაშეს დაფიქსირებული აქვს საქართველოს საზღვრებს გარეთ რეგისტრირებული მობილური ოპერატორის ქსელში ჩართული ნომერი;

გ) თუ მომხმარებელმა დროულად არ გაიარა ვერიფიცირების/ხელახალი ვერიფიცირების პროცედურები შპს „ბეთლაივის“ მოთხოვნის შესაბამისად.

8.3. მოთამაშეს გათამაშების ბილეთი მატერიალური სახით არ გადაეცემა, მაგრამ მოთამაშეს www.betlive.com-ზე არსებულ მის პირად ანგარიშზე („ექაუნთზე“) ავტორიზაციის შემდგომ (შესვლის შემდგომ) შესაძლებლობა ექნება შეამოწმოს ინფორმაცია მის სახელზე რიცხული წამახალისებელი გათამაშების ბილეთის რაოდენობის შესახებ.

8.4. მოთამაშეებს უფლება აქვთ www.betlive.com-ზე განახორციელონ საკუთარი მობილური ტელეფონის ნომრების კორექტირება წამახალისებელი გათამაშების ბილეთების მიღების შემდგომ, მაგრამ არაუგვიანეს ყოველკვირეულ გათამაშებამდე შესაბამისი კალენდარული კვირის ხუთშაბათი დღის 24:00 საათისა; მაგალითად: იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა 2022 წლის 29 ნოემბერს მიიღო წამახალისებელი გათამაშების 1 ბილეთი მას 2022 წლის 01 დეკემბრის 24:00 საათის ჩათვლით შესაძლებლობა აქვს შეცვალოს მობილურის ნომერი და განახლებული მონაცემით (ახალი ტელეფონის ნომრით) მიიღოს მონაწილეობა გათამაშებაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მობილური ტელეფონის ნომრის ცვლილება მიიჩნევა მომდევნო ყოველკვირეულ გათამაშებაში განხორციელებულად და შესაბამისად 2022 წლის 03 დეკემბრის გათამაშებაში აღნიშნული მომხმარებლის ბილეთებზე დატანილი იქნება ძველი ნომერი და თუ ასეთი მომხმარებლის ბილეთი აღმოჩნდება მოგებახვედრილი და ბილეთზე მითითებულ ნომერზე წინამდებარე რეგლამენტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად განხორციელდება დაკავშირება, პრიზი მაინც გადაეცემა **ბილეთზე დატანილი პინ კოდის მფლობელ მომხმარებელს**, იმის მიუხედავადაც კი თუ ძველ ნომერზე დარეკვისას უშუალოდ აღნიშნულ მომხმარებელთან ვერ შედგება კომუნიკაცია. პრიზის მისაღებადაც მოცემულ შემთხვევაშიც მხოლოდ ტექნიკურად დაკავშირებაა საჭირო; შესაბამისად, აღნიშნული მომხმარებლის ახალი ნომრით მონაწილეობას ვერ მიიღებს 2022 წლის 03 დეკემბრის გათამაშებაში, მაგრამ მონაწილეობას მიიღებს 10 დეკემბრის გათამაშებაში თუ ის დააგროვებს ბილეთებს 2022 წლის 02 დეკემბრიდან- 08 დეკემბრის ჩათვლით. იგივე პრინციპი მოქმედებს სუპერ ლაივ გათამაშების შემთხვევაშიც, რომელიც გაიმართება 2022 წლის 31 დეკემბერს, კერძოდ თუ მომხმარებელმა 2022 წლის 29 დეკემბრის 24:00 საათის ჩათვლით განახორციელა ნომრის ცვლილება იგი 2022 წლის 31 დეკემბრის სუპერ ლაივ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ახალი ნორმით, ხოლო თუ მომხმარებელმა 29 დეკემბრის შემდეგ შეცვალა მობილურის ნომერი (მაგალითად: 30 დეკემბერს ან 31 დეკემბერს) იგი 2022 წლის 31 დეკემბრის სუპერ ლაივ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ძველი ნორმით, თუ მან დააგროვა სუპერ ლაივ გათამაშების ბილეთები 2022 წლის 18 ნოემბრიდან - 29 ნოემბრის ჩათვლით, წინამდებარე რეგლამენტის შესაბამისად.

9. ბილეთების ბეჭდვა

9.1. ბილეთები სტამბაში დაიბეჭდება ყოველი კალენდარული კვირის შაბათი დღის 15:00 საათამდე შპს „ბეთლაივი”-ს მიერ ელექტრონულად მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად. სტამბის მიერ დაბეჭდილი ბილეთები დაილუქება და შეინახება გათამაშებამდე.

9.2. გათამაშებაში სულ დაიბეჭდება 40 000 000 (ორმოცი მილიონი) ცალი ბილეთი. ბილეთების ნუმერაცია (სერიული #) განისაზღვრება #00 000 001-დან – #40 000 000-ჩათვლით;

9.3. ბილეთებზე დატანილი იქნება შემდეგი მონაცემები:

- www.betlive.com-ის მომხმარებლის პირადი იდენტიფიკატორის ნომერი (პინკოდი) - რაც წარმოადგენს მომხმარებლისთვის ვებ-გვერდზე რეგისტრაციის დროს მინიჭებულ უნიკალურ კოდს
- მომხმარებლის მობილური ტელეფონის ნომერი;
- სტამბის მიერ ბილეთისათვის მინიჭებული უნიკალური სერიული ნომერი (სერიული #);
- შპს „ბეთლაივის“ სახელწოდება
- შპს „ბეთლაივის“ საიდენტიფიკაციო ნომერი;
- შპს „ბეთლაივის“ იურიდიული მისამართი
- წამახალისებელი გათამაშების ნებართვის ნომერი;
- შპს „ბეთლაივის“ ცხელი ხაზის ნომერი;
- გათამაშების პერიოდი;

10. **გათამაშების ჩატარების ადგილი, პრიზები და თარიღები**

10.1. გათამაშება გაიმართება 2022 წლის 18 ნოემბრიდან - 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. 2022 წლის 26 ნოემბრის, 03 დეკემბრის, 10 დეკემბრის, 17 დეკემბრის და 24 დეკემბრის გათამაშებები გაიმართება 20:00 საათზე, ხოლო ბოლო, **სუპერ ლაივ გათამაშება გაიმართება 2022 წლის 31 დეკემბერს 17:00 საათზე,** არაუმეტეს 1 (ერთი) საათის მანძილზე, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის სტუდიაში გადაცემის ტრანსილირება მოხდება მხოლოდ კომპანიის ვებ-გვერდზე (www.betlive.com).

10.2. გათამაშება ჩატარდება პირდაპირ ეთერში („live“ რეჟიმში) და გათამაშების პირდაპირი ტრანსილაცია იწარმოებს შემდეგი მისამართიდან: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა #5ა;

10.3. წამახალისებელ გათამაშებაში სულ გათამაშდება 450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის ფულადი პრიზი წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი წესით, 5 (ხუთი) ერთეული მობილური ტელეფონი Apple iPhone 14 Pro 128GB Space Black, 5 (ხუთი) ერთეული PlayStation 5, 5 (ხუთი) ერთეული მობილური ტელეფონი Samsung S908B Galaxy S22 Ultra Duos Black და 6 ავტომობილი:

1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი Blue ვინ კოდი: U5YPV81AHNL084464;

1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი DARK GRAY ვინ კოდი: U5YPV81AHNL084278.

1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი Blue U5YPV81AHNL083983;

1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი BLACK ვინ კოდი: U5YPV81AHNL083924,

1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი Experience Green, Vin: U5YPV81AHNL084366,

1 ერთეული Audi Q8, გამოშვების წელი 2022, ვინ კოდი: WAUZZZF10PD002266.

11. პირდაპირ ეთერში გათამაშების ჩატარების წესები და პირობები

11.1. გათამაშება პირდაპირი რეჟიმით („live stream") ნაჩვენები იქნება მხოლოდ შპს „ბეთლაივი"-ს ვებ-გვერდზე.

11.2. გათამაშების დღეს გათამაშებაში მონაწილე ყველა ბილეთი მოთავსდება 5 (ხუთი) ცალ დოლურაში; ყველა დოლურა იქნება დანომრილი (#-1-დან #5-ის ჩათვლით). გადაცემის წამყვანი რიგითობის მიხედვით (#-1-დან #5-ის ჩათვლით, თანმიმდევრობით) ამოიღებს ბილეთებს თითოეული დოლურიდან. ყოველ გათამაშებაში თითო გამარჯვებულის ნომერი ამოვა თითო დოლურიდან, მაგალითად, თუ გათამაშების წამყვანმა ამოიღო ბილეთი N1 დოლურიდან და ბილეთზე დატანილ ნომერზე დარეკვის 3 (სამი) მცდელობის შემდეგ მოთამაშეს ვერ დაუკავშირდა, ასეთ შემთხვევაში გათამაშების წამყვანი აღნიშნულ ბილეთს გადადებს და ხელახლა ამოიღებს ერთ ცალ ბილეთს იმავე -- #1 დოლურიდან.

11.3. გადაცემის წამყვანი დოლურიდან ბილეთის ამოღების შემდეგ გამოაცხადებს ბილეთზე დატანილი მომხმარებლის ტელეფონის ნომრის პირველ ექვს ციფრს და ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდება ბილეთზე დატანილ მობილურის ნომერს.

11.4. წამყვანის მიერ, დოლურიდან ამოღებულ ბილეთზე, დატანილ ნომერზე წარმატებით დაკავშირების შემდეგ გამარჯვებულს აქვს შესაძლებლობა #-1-დან #5-ის ჩათვლით დანომრილი ბარათებიდან აირჩიოს პრიზი, რომელიც დატანილია #1; #2, #3, #4, #5 ბარათის უკანა მხარეს. ბარათის არჩევამდე გამარჯვებულისთვის უცნობია რა პრიზი მოიგო. იმ შემთხვევაში თუ გამარჯვებული არ (ან ვერ) აირჩევს ბარათს, ის გახდება იმ პრიზის მფლობელი, რომელიც დარჩება ამავე გათამაშების სხვა გამარჯვებულების მიერ ბარათების არჩევის შემდეგ. იმ შემთხვევაში თუ ხუთი გამარჯვებულიდან ოთხმა არ (ან ვერ) აირჩია ბარათი, დარჩენილი ბარათები განაწილდება ნუმერაციის ზრდადობის მიხედვით. მაგალითად, თუ დარჩა #1, #2, #3, #5, ბარათები, #1 ბარათზე დატანილ პრიზს მიიღებს ის გამარჯვებული, რომელთანაც დაკავშირება მოხდა უფრო ადრე. იმავე პრინციპით განაწილდება ბარათებზე დატანილი პრიზები, თუ არცერთი გამარჯვებული არ (ან ვერ) აირჩევს ბარათს.

11.5. იმ შემთხვევაში თუ მოთამაშე უპასუხებს ზარს სტუდიიდან, იგი ავტომატურად გახდება გამარჯვებული და პრიზის მფლობელი 2022 წლის 26 ნოემბრის, 03 დეკემბრის, 10 დეკემბრის, 17 დეკემბრის, 24 დეკემბრის, 31 დეკემბრის გათამაშებებში. ყოველკვირეულად გათამაშდება შემდეგი პრიზები:

11.5.1. **2022 წლის 26 ნოემბრის გათამაშებაში გათამაშდება:**

1. 1 (ერთი) ერთეული მობილური ტელეფონი Apple iPhone 14 Pro 128GB Space Black;
2. 1 (ერთი) ერთეული PlayStation 5;

3. 1 (ერთი) ერთეული მობილური ტელეფონი Samsung S908B Galaxy S22 Ultra Duos Black;
4. 10 000 (ათი ათასი) ლარი;
5. 1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი Blue ვინ კოდი: U5YPV81AHNL084464;

11.5.2. **2022 წლის 03 დეკემბრის გათამაშებაში გათამაშდება:**

1. 1 (ერთი) ერთეული მობილური ტელეფონი Apple iPhone 14 Pro 128GB Space Black;
2. 1 (ერთი) ერთეული PlayStation 5;
3. 1 (ერთი) ერთეული მობილური ტელეფონი Samsung S908B Galaxy S22 Ultra Duos Black;
4. 10 000 (ათი ათასი) ლარი;
5. 1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი DARK GRAY ვინ კოდი: U5YPV81AHNL084278.

11.5.3. 2022 წლის 10 დეკემბრის გათამაშებაში გათამაშდება:

1. 1 (ერთი) ერთეული მობილური ტელეფონი Apple iPhone 14 Pro 128GB Space Black;
2. 1 (ერთი) ერთეული PlayStation 5;
3. 1 (ერთი) ერთეული მობილური ტელეფონი Samsung S908B Galaxy S22 Ultra Duos Black;
4. 10 000 (ათი ათასი) ლარი;
5. 1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი Blue U5YPV81AHNL083983;

11.5.4. 2022 წლის 17 დეკემბრის გათამაშებაში გათამაშება:

1. 1 (ერთი) ერთეული მობილური ტელეფონი Apple iPhone 14 Pro 128GB Space Black;
2. 1 (ერთი) ერთეული PlayStation 5;
3. 1 (ერთი) ერთეული მობილური ტელეფონი Samsung S908B Galaxy S22 Ultra Duos Black;
4. 10 000 (ათი ათასი) ლარი;
5. 1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი BLACK ვინ კოდი: U5YPV81AHNL083924.

11.5.5. 2022 წლის 24 დეკემბრის გათამაშებაში გათამაშდება:

1. 1 (ერთი) ერთეული მობილური ტელეფონი Apple iPhone 14 Pro 128GB Space Black;
2. 1 (ერთი) ერთეული PlayStation 5;
3. 1 (ერთი) ერთეული მობილური ტელეფონი Samsung S908B Galaxy S22 Ultra Duos Black;
4. 10000 (ათი ათასი) ლარი;
5. 1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი Experience Green, Vin: U5YPV81AHNL084366.

11.5.6. 2022 წლის 31 დეკემბრის გათამაშებაში გათამაშდება:

1. 100 000 (ასი ათასი) ლარი
2. 100 000 (ასი ათასი) ლარი
3. 100 000 (ასი ათასი) ლარი
4. 100 000 (ასი ათასი) ლარი

5. 1 ერთეული Audi Q8, გამოშვების წელი 2022, ვინ კოდი: WAUZZZF10PD002266;

11.6. პრიზის მოგებისათვის აუცილებელი პირობაა, მოთამაშეს www.betlive.com-ის მონაცემთა ბაზაში მითითებული ჰქონდეს SMS ვერიფიკაციის სქემით ვერიფიცირებული მობილური ტელეფონის ნომერი და უპასუხოს ზარს სტუდიიდან;

11.7. ამ პუნქტით გათვალისწინებული მიზნებისათვის, ზარზე პასუხის გაცემად მიიჩნევა www.betlive.com-ის მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებულ მომხმარებლის ნომერთან ტექნიკურად დაკავშირება თუნდაც ვერ მოხერხდეს მოთამაშესთან გასაუბრება, თუ გამავალი ზარის განხორციელების შემდგომ დაფიქსირდება წამზომის ათვლა მიიჩნევა, რომ მოთამაშესთან კავშირი შედგა და შესაბამისად გამარჯვებული გამოვლენილად ჩაითვლება. მომხმარებლის ნომერთან ტექნიკურ დაკავშირებად არ კვალიფიცირდება გამავალი ზარის შემდგომ ავტომოპასუხის ჩართვა და/ან სხვა ნომერზე გადამისამართების შესახებ ხმოვანი შეტყობინება.

11.8. თუ დოლურიდან ამოღებულ ბილეთზე დატანილ მოთამაშის მობილური ტელეფონის ნომერზე დარეკვისას მოთამაშემ არ უპასუხა ზარს, ტელეფონი გამორთულია, ფიქსირდება დაკავება ან სხვა ნებისმიერი მიზეზის გამო ვერ ხერხდება დაკავშირება, ასევე თუ დაფიქსირდება გამავალი ზარის შემდგომ ავტომოპასუხის ჩართვა და/ან სხვა ნომერზე გადამისამართებაზე ხმოვანი შეტყობინება - გადაცემის წამყვანი კიდევ ორჯერ შეეცდება მოთამაშესთან დაკავშირებას.

11.9. დოლურიდან ამოღებულ ბილეთზე დატანილ ნომერთან დაკავშირების 3 (სამი) წარუმატებელი მცდელობის შემთხვევაში, გადაცემის წამყვანი ამოღებულ ბილეთს გადადებს და მის ნაცვლად დოლურიდან ამოიღებს ახალ ბილეთს, რომელის მფლობელთანაც დაკავშირება მოხდება წინამდებარე წესების შესაბამისად; იმ შემთხვევაში თუ დოლურიდან ამოღებულ მეორე ბილეთზე დატანილ ნომერზეც 3 (სამი) მცდელობის მიუხედავად ვერ განხორციელდება დაკავშირება გადაცემის წამყვანი აღნიშნულ ბილეთსაც გადადებს გვერდით და დოლურიდან კვლავ ამოიღებს ახალ ბილეთს; ბილეთების დოლურიდან ამოღების აღნიშნული მექანიზმი იმოქმედებს ყოველ შემდგომ ბილეთზეც იმ მომენტამდე სანამ არ მოხდება კონკრეტული ნომრის მქონე დოლურიდან პრიზის გათამაშება.

11.10. გათამაშების სრული პერიოდის მანძილზე ერთ მოთამაშეს **შესაძლებლობა აქვს მოიგოს იმდენი პრიზი, რამდენჯერაც მისი ბილეთი ამოვა დოლურიდან.**

12. წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდი

12.1. წამახალისებელ გათამაშებაში სულ გათამაშდება 450 000 (ოთხას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობის ფულადი პრიზი წინამდებარე რეგლამენტით დადგენილი წესით, ასევე

5 (ხუთი) ერთეული მობილური ტელეფონი Apple iPhone 14 Pro 128GB Space Black;

5 (ხუთი) ერთეული PlayStation 5;

5 (ხუთი) ერთეული მობილური ტელეფონი Samsung S908B Galaxy S22 Ultra Duos Black;

და 6 ავტომობილი:

1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი Blue ვინ კოდი: U5YPV81AHNL084464;

1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი DARK GRAY ვინ კოდი: U5YPV81AHNL084278.

1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი Blue U5YPV81AHNL083983;

1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი BLACK ვინ კოდი: U5YPV81AHNL083924,

1 ერთეული Kia Sportage, 1.6 დიზელის ძრავით, გამოშვების წელი 2022, ფერი Experience Green, Vin: U5YPV81AHNL084366,

1 ერთეული Audi Q8, გამოშვების წელი 2022, ვინ კოდი: WAUZZZF10PD002266.

13. პრიზების გაცემა

13.1. პრიზის გაცემა ხდება გამარჯვებული პირადი იდენტიფიკატორის ნომრის (პინკოდის) მფლობელ მოთამაშეზე; გამარჯვებულებს მოგებული ფულადი პრიზი დაერიცხებათ www.betlive.com-ის ანგარიშზე ყოველი გათამაშების პირდაპირი ტრანსლაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში;

13.2. გათამაშების მოგებების გაცემის საერთო ვადაა გათამაშებიდან 30 კალენდარული დღე. მოგება გაიცემა მომხმარებლის მიერ საიდენტიფიკაციო დოკუმენტის (მაგ: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი/პასპორტი ან/და საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი) წარდგენიდან არა უგვიანეს 6 დღისა;

13.3. ავტომობილის მისაღებად გამარჯვებულები უნდა გამოცხადდნენ შპს "ბეთლაივი"-ს ოფისში, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი #123 გამარჯვებულები ავტომობილებს მიიღებენ სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველზე;

13.4. პრეტენზიების მიღების საერთო ვადა განისაზღვრება გათამაშების ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით, ხოლო პრეტენზიების განხილვა მოხდება პრეტენზიების წარმოშობიდან (მიღებიდან) 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში. წინამდებარე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ არანაირი პრეტენზია არ განიხილება. პრეტენზიის შესახებ განცხადების წარდგენა შესაძლებელია ორგანიზატორის ფაქტობრივ ან იურიდიულ მისამართზე ან ელექტრონულ ფოსტაზე info@betlive.com შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით. პრეტენზიას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს, სადავო გათამაშების დროს მითითებული კომისიის წევრთა ჯგუფი. პრეტენზიის განხილვასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება განმცხადებელს ეცნობება -- გადაწყვეტილების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში, შპს „ბეთლაივის" სისტემაში (ან/და განცხადებაში) მომხმარებლის მიერ მითითებულ სატელეფონო ნომერზე ან/და წერილობით ელექტრონულ ფოსტაზე.

13.5. შპს „ბეთლაივი” უზრუნველყოფს წამახალისებელი გათამაშების წესების საჯაროობას, ვინაიდან ტექნოლოგიურად შეუძლებელია მომგებიანი თამაშობის ბილეთზე წამახალისებელი გათამაშების რეკვიზიტების (თამაშობის ზოგადი წესი, მომგებიანი თამაშობის მოგების გაცემის ზღვრული ვადა და ადგილი და ა.შ.) სრულად ასახვა ამის გამო გათამაშების წესები განთავსებული იქნება ვებ-გვერდზე www.betlive.com; გათამაშების წესების შესახებ ინფორმაციის მიღება მოთამაშეებს ასევე შეეძლებათ www.betlive.com-ის ცხელ ხაზზე დარეკვით, ნომერი: (995 32) 2 90 44 44.

13.6. გათამაშების შედეგების შესახებ ვებ-გვერდზე ინფორმაცია გამოქვეყნდება მოგებათა ოფიციალური ცხრილის სახით გათამაშებიდან ორი კალენდარული დღის ვადაში.

შპს „ბეთლაივი“-ს

დირექტორი: **თეიმურაზ კოპალეიშვილი**